დაწყევლა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კაცი, რომელიც იცვამს ქალის ტანსაცმელს და ქალი, რომელიც იცვამს კაცის ტანსაცმელს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «დაწყევლა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კაცი, რომელიც იცვამს ქალის ტანსაცმელს და ქალი, რომელიც იცვამს კაცის ტანსაცმელს».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه النسائي في الكبرى وابن ماجه بمعناه وأحمد]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააკეთა დუა (ვედრება) ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წყალობისგან განდევნაზე და მოშორებაზე ყველა იმ მამაკაცისთვის, რომელიც ემსგავსება ქალებს ჩაცმულობით, ქალებისთვის განკუთვნილი ტანისამოსით; სულერთია, ეს მიმსგავსება იქნება ტანსაცმლის ფორმით, ფერით, სტილით, ჩაცმის მეთოდით, მორთულობით თუ სხვა. ან ქალი მიემსგავსოს კაცებს, კაცებისთვის განკუთვნილი ტანისამოსის ჩაცმით, ეს არის დიდი ცოდვებიდან ერთ-ერთი ცოდვა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8905